



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის
მდივნის
განკარგულება №02-421/2017

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებული ადგილობრივი სადამკვირვებლო
ორგანიზაციის „იძულებით გადაადგილებულ პირთა სათემო ორგანიზაცია „იმედი“
დამკვირვებლების რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ

ქ. თბილისი

2017 წელი 8 ნოემბერი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-40 მუხლის მე-7 პუნქტის, 77-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 78-ე მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, ვადგენ:

მუხლი 1. უარი ეთქვათ დამკვირვებლებად რეგისტრაციაზე ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციის „იძულებით გადაადგილებულ პირთა სათემო ორგანიზაცია „იმედი“ წარმომადგენლებს, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-40 მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე, ვინაიდან სარეგისტრაციოდ წარმოდგენილ დოკუმენტაციას თან არ ახლავს შემდეგი წარმომადგენლების მოქმედი საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ან საქართველოს მოქალაქის პასპორტის ფოტოასლი:

1. შორენა ბაკურაძე;
2. ნუნუ წიქარიშვილი.

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მისი გამოცემიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

კომისიის მდივანი

გიორგი ჯავახიშვილი